

გაბრიელ არესტი  
Gabriel Aresti

# ბასკური ქვა

LA PIEDRA VASCA  
Poemas de Gabriel Aresti

EUSKAL HARRIA  
Gabriel Arestiren olerkiak



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2012

გაბრიელ არესტი  
ბასკური ქვა

Gabriel Aresti  
La Piedra Vasca  
Euskal Harria

**Liburu honen itzulpenak Eusko Jaurlaritzako Kultura Saileko dirulaguntza jaso du**

წიგნის თარგმანი განხორციელდა ბასკეთის ქვეყნის მთავრობის კულტურის დეპარტამენტის ხელშეწყობით

Itzultzailea: Vladimer Luarsabishvili

მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი  
რედაქტორი: ნატალია ვაჩიშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: თინათინ კვიციანი

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-126-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## სარჩევი

გაბრიელ არესტი და „ბასკური ქვა“ .....	1
<b>Gabriel Aresti y una lectura de <i>Euskal Harria</i></b> .....	5
ლექსები .....	9

## გაბრიელ არესტი და „ბასკური ქვა“

გაბრიელ არესტის პოეზიის ბოლო ორი კრებულის – „ბასკური ქვა“ (1967) და „ეს ქვის ერი“ (1970) – გამოცემა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე „ქვა და ერის“ გამოცემა 1964 წელს. კერძოდ, კრებულს „ქვა და ერი“ ცენზურა თითქმის არ განუცდია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, როდესაც არესტიმ 120 ლექსისგან შემდგარი წიგნი (სახელწოდებით “Euskal Harria eta beste 119 olerki”/“La piedra vasca y otras 119 poesías”/ „ბასკური ქვა და კიდევ 119 ლექსი“) წარადგინა გამოსაცემად, მხოლოდ 70 ლექსის დაბეჭდვის უფლება მისცეს, 50 კი – აიკრძალა. კრებული სრული სახით მხოლოდ 1986 წელს გამოიცა. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი სირთულე. ტექსტის პირველ ნაწილში არესტიმ ჩართო ნაწყვეტები ნაწარმოებიდან „აკრძალული მართლმსაჯულება“; კერძოდ კი ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად ასახავდა ავტორის დამოკიდებულებას მისი თანამედროვე ეპოქისადმი, მათ შორის, საერთაშორისო ვითარებასაც (1961 წლის ოპერაცია კოჩინოსის ყურეში, 1960-63 წლების კონგოს ომი, კენედის მკვლელობა 1963 წელს). განსაკუთრებული, დამატებითი საგამომცემლო სირთულე კი იმან გამოიწვია, რომ თავდაპირველად აკრძალული ზოგიერთი ლექსი შევიდა კრებულში „ეს ქვის ერი“: წიგნს 1965 წელს ლისარდის სახელობის პრემია მიენიჭა.

ამ კრებულში უფრო მეტი გალიზიანება იკითხება, ვიდრე “ქვა და ერში”: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა განიცადა ევოლუცია ირონიიდან სარკაზმამდე, ჭრილობიდან ტკივილამდე. აღნიშნული თითქოს ორთოგრაფიაზეც აისახა. „ბასკური ქვა“ დაიწერა არქაული ორთოგრაფიით, რითიც არესტიმ ბასკური ენის აკადემიის მიერ ენის ორთოგრაფიის უნიფიკაციის გადაწყვეტილების მიღების გააპროტესტა. წიგნში არესტის პოეზიის კონკრეტული ხასიათი შენარჩუნებული, მაგრამ შერბილებულია. მკითხველის წინაშე იშლება იმ დროის პოლიტიკური მახასიათებლები, ხოლო სალიტერატურო მინიშნებები კი არესტის პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნიკური მახასიათებელია. ტექსტს დართული აქვს ავუსტინ იბაროლას მიერ შესრულებული

გრავეურები. არესტიმ ესპანურ ენაზე დაწერა ტექსტის მესამე ნაწილიც, რომელიც პირველი გამოცემის დროს არ გამოქვეყნდა და რომელიც გრავეურების ავტორს ეხება. აღნიშნულმა გამოავლინა არესტის პოეტური ფიქრების ესპანურ ენაზე გამოხატვის უნარი – სონეტები თავდაპირველად ესპანურად დაიწერა და შემდეგ ითარგმნა ბასკურად. მათში ორმაგი თემატიკაა გაშლილი: სოციალური („მეამბოხე სონეტები“) და აუთენტური ხმის, რომელიც პოეტისათვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მიჯნავს საზოგადოების თავისუფლების მოსურნე ნაწილს მონობას შეგუებულ ნაწილისგან. ამრიგად, სოციალური ცნობიერება გარდაიქმნება მორალურად.

„ბასკური ქვა“ ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველი ლექსი ეძღვნება მელის, პოეტის მეუღლეს, რომლის გვერდითაც ჩამოყალიბდა არესტი პოეტად. პირველ ნაწილს შეადგენს ლექსები ნაწარმოებიდან „აკრძალული მართლმსაჯულება“, რომელიც 1961 წლით თარიღდება. მათი უცვლელი იდეა ანტიიმპერიალიზმია, რაც ბასკეთის ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა:

“Nire grazia Aresti da ta  
Gainean dakusat Upo  
Mendi hortatik libertatea  
Niri egiten zait uko”

[Mi nombre es Aresti y encima de mí veo el Upo. Desde ese monte se me niega la libertad/ ჩემი სახელია არესტი და ჩემ გარშემო ვხედავ უპოს. სწორედ ამ მთიდან ამეკრძალა თავისუფლება].

მეორე ნაწილს ეწოდება “Mailu batekin”. მასში არესტი თავისი პირველი წიგნის ესთეტიკას ავითარებს, თუმცა უფრო აგრესიულად (მაგალითისათვის საკმარისია, გადავიკითხოთ ოტეროსთვის მიძღვნილი ლექსი). მასში უფრო პარადოქსია გამოხატული, ხოლო პიროვნული მიმართებები (არშუსა, აჩუკალე) ალევორიულ ფუნქციას ასრულებენ. არესტის სამყარო ფართოვდება და მხოლოდ ბილბაოთი კი აღარ შემოსაზღვრება, არამედ მიჰყვება პოეტის სამუშაო და ცხოვრებისეულ გზას, ფართოვდება ტექსტის გეოგრაფიაც. აქვე ვხვდებით მინიშნებას მარქსიზმზე (“Eta zu Treveris,/ benedikatua izanen zara/ munduko/ hiri guztien/ artean,/ zure sabetetik jaioko/ baitda...”) [Y tú, Tréveris/ serás bendita/ entre/ todas/ las

ciudades de la tierra,/porque/ de tu vientre nacerá.../შენ კი, ტრირო<sup>1</sup>, იქნები დალოცვილი, დედამიწის ყველა ქალაქს შორის, რამეთუ შენ შობ...]. არესტის პოეზია ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობა და იმ ადგილებს ასახავს, სადაც პოეტს უხდებოდა ყოფნა (მაგალითად, ლექსი „ბილბაოს ქუჩები“). არესტი მიმართავს ენობრივ ექსპერიმენტებს, ხოლო რეალობის ამსახველად პარადოქსს იყენებს.

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ პოეტური გამოხატულება ამ კრებულში გაცილებით აგრესიულია, ვიდრე „ქვა და ერში“, ამავე დროს ნაკლებად მანუგეშებელი და უფრო ღიად შემაჩვენებელი.

წიგნის მესამე ნაწილი მეტად განმაცვიფრებელია. იგი ესპანურ ენაზეა დაწერილი, შემდგომ კი ბასკურად არის თარგმნილი. მისი სახელწოდებაა „ლექსები აგუსტინ იბაროლასათვის“. პირველი გამოცემის დროს არ დაიცვეს ლექსების სექციებად დაყოფის პრინციპი, ამიტომ არესტიმ ისე გამოაქვეყნა ლექსები, თითქოს ისინი ესპანურიდან თარგმნილი კი არა, ბასკურად დაწერილი იყო, რის გამოც იგი გააკრიტიკეს კიდევ.

ამ ტექსტებს ტრადიციული მეტრიკა და ირონიული ელფერი აქვს. არესტის სურდა ეჩვენებინა, რომ მას შეეძლო ნორმალური მეტრით წერა და თავისუფალ ლექსს მხოლოდ იმიტომ ანიჭებდა უპირატესობას, რომ კიდევ უფრო დაახლოებოდა მკითხველს. ამ ლექსებს მოსდევს სონეტები: ბნელი სამშობლოს სონეტები (3 სონეტი), მომავლის წინ მდგარი ნერეას სონეტები (6 სონეტი) და მემამბოხე სონეტები (განსხვავებული მეტრის მქონე 11 სონეტი).

ასევე საინტერესოა ორენოვანი ლექსი სახელწოდებით „Azken euskaldunaren heriocea/ La muerte del último euskaldún“/„უკანასკნელი ბასკის სიკვდილი“, რომელსაც უცნაური ქვესათაური აქვს („Vasconia 2000 urte“). სავარაუდოდ, არესტი ფიქრობდა სამშობლოზე, რომელსაც არ უყვარდა წყეული პოეტი და ამიტომ მხოლოდ „ტანჯვასა და სიკვდილს“ პირდებოდა მას.

წიგნის მეოთხე ნაწილს ეწოდება „ბასკური ქვა“, ასევე დაერქვა კრებულსაც. ამ ლექსებში იკვეთება არესტის პოეტური სტილის თავისებურება, რომელიც პირადი გამოცდილების, ფიქრისა და მრავალენოვნების ნაზავია და ირონიული ფრაზებითა და ძველი ლექსების ნაწყვეტებით არის გამოხატული. ეს არის რეალობის პოეტური ასახვა, რომელიც უმზერს თანამედროვეობას და ქმნის პარადოქსული ხედვის მრავალფეროვნებას. ბარსელონელ სწავ-

---

1. ტრირო - გერმანიის საოლქო დაქვემდებარების ქალაქი.

ლულთა წინაშე 1966 წელს წარმოთქმულ სიტყვაში (სახელწოდებით „ბასკური ენა და ლიტერატურა: მოკლე ისტორია და მათი კავშირის განუსაზღვრელი მომავალი“), არესტი მიუთითებს გარკვეულ გარემოებებზე, რაც გვეხმარება „ბასკური ქვის“ სწორად წაკითხვაში. პოეტი ბასკურ ენას ბასკი ერის იდენტობის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად განიხილავს და მკითხველს შთაგონების (იმ წუთას განცდილ) პოეზიას სთვავობს. არესტის მიხედვით:

„ერთხელ, თავი პატრიოტად ვიგრძენი და წერა დავიწყე... მეორე დღეს თავი მართლად ვიგრძენი და წერა დავიწყე... მესამე დღეს კი თავი მშიშრად ვიგრძენი და წერა დავიწყე“ (1986, 10, 84).

არესტის პოეზია მისი მგრძნობელობის, შეგრძნებების ცვალებადობის, ზოგადად გრძნობისა და გამოსატვის მრავალფეროვნების ამსახველია.

იონ კორტასარი

ბასკური ენის ლიტერატურის კათედრის გამგე  
ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი

## Gabriel Aresti y una lectura de *Euskal Harria*

Los dos últimos libros de poemas de Gabriel Aresti, *Euskal Harria* (1967) y *Harrizko Herri Hau* (1970), se publican con mayores dificultades que *Harri eta Herri*. Si la censura prácticamente no tocó los poemas del primer libro, no actuó de la misma manera con el segundo. Gabriel Aresti había concebido un libro con 120 poemas, que llevaba el título de *Euskal Harria eta beste 119 olerki/ La piedra vasca y otras 119 poesías*, de las cuales sólo se permitieron publicar 70, y se censuraron 50. Se tendrá que esperar hasta 1986 para conocer la edición completa del texto. Además, no fue ese el único elemento de distorsión. Gabriel Aresti incluyó una primera parte que provenía de *Zuzenbide debekatua*, quizás las estrofas que mantienen una referencia más directa con el tiempo presente que le tocó vivir, fundamentalmente los que atañen a una situación internacional (desembarco en la Bahía de Cochinos, 1961; Guerra en el Congo, 1960-1963, asesinato de Kennedy, 1963), pero que, como puede apreciarse, se refería a unos años anteriores. Pero para mayor confusión editorial, algunos poemas censurados se recuperaron en el libro posterior *Harrizko Herri Hau*. El libro recibió el Premio Lizardi de 1965, que se falló en 1966.

En el tono general del libro puede encontrarse una crispación mayor que la que utilizó en *Harri eta Herri*, como si el autor hubiera pasado de la ironía al sarcasmo, de la herida al dolor. Ya desde la estrategia utilizada en la ortografía. *Euskal Harria* [Piedra vasca] fue escrito con una ortografía arcaizante, en protesta por el retraso con que la Academia de la Lengua Vasca- Euskaltzaindia acometía su decisión sobre la unificación de la ortografía de la lengua vasca. Pero en el libro se atenúa la importancia del carácter concreto de la poesía de Aresti, aunque se mantiene, y el autor opta por una relectura y reescritura de algunas claves políticas del momento, la alusión literaria se convierte en una de las principales características técnicas de su poesía. Además, Gabriel Aresti, que hizo acompañar la edición con una serie de grabados de Agustín Ibarrola compuso una tercera parte –no publicada en la primera edición– en castellano sobre el pintor y grabador. La capacidad poética de Aresti en esa lengua se muestra



de forma clara en este libro, donde los sonetos están escritos originalmente en castellano y después vertidos al euskara. En ellos muestra una doble preocupación temática: por la conciencia social (“Sonetos rebelados”) y por la voz auténtica, que convierte en el mismo signo, en voz necesaria para el poeta y en voz que muestra la autenticidad ética de la Libertad, frente a una sociedad que busca la Esclavitud, así la conciencia social se convierte en conciencia moral.

*Euskal Harria* se divide en cuatro partes. El libro se abre con una dedicatoria a Meli, su mujer, con lo que nuevamente, Aresti inicia su andadura poética refiriéndose a la veta amorosa de su poesía. La primera parte se compone de los poemas recogidos del *Zuzenbide debekatua* de 1961. El antiimperialismo es una constante, de la misma forma que la voz de Aresti se va componiendo en contra de la situación política que se vive en el País Vasco:

“Nire grazia Aresti da ta  
Gainean dakusat Upo  
Mendi hortatik libertatea  
Niri egiten zait uko”

[Mi nombre es Aresti y encima de mí veo el Upo. Desde ese monte se me niega la libertad].

La segunda parte se titula “Mailu batekin” (recordemos que de la misma manera se titulará la sección que en 1964 publica en la revista *Egan*, y que en el libro se recogen algunos de los textos allí publicados), y en ella Gabriel Aresti sigue la estética de su primer libro, pero de manera más violenta (basta ver el poema dedicado a Otero), la paradoja será más fuerte, las referencias personales (Arruza, Atxukale) siguen sirviendo para crear alegorías. La visión espacial de Aresti se ancha, ya no estará solo en Bilbao, siguiendo su recorrido laboral y vital, las referencias geográficas se amplían, así como aparecen nuevas citas al marxismo (“Eta zu Treveris,/ benedikatua izanen zara/ munduko/ hiri guztien/ artean,/ zure sabeletik jaioko/ baitda...” [Y tú, Tréveris/ serás bendita/ entre/ todas/ las ciudades de la tierra,/ porque/ de tu vientre nacerá...]). Sigue creando poesía desde su experiencia vital, con los objetos encontrados, como en “Bilbaoko Kalea”, sigue experimentando con el lenguaje, trabaja la paradoja, como un instrumento de cuestionamiento de la realidad.

La expresión poética por esa unión de contrarios resulta más violenta quizás que en *Harri eta Herri*, menos consoladora y más abiertamente imprecadora.

La tercera sección del libro resulta más sorprendente. Está escrita en castellano y traducida al euskara, y se titula “Poesía para Agustín Ibarrola”. Como la división en secciones no se mantuvo en la primera edición, Aresti publicó los poemas que se situaban en esta sección como si originalmente estuvieron escritos en euskara, y no fueran traducciones desde el castellano, lo que le provocó algunas críticas. Estos textos trabajan una métrica tradicional: “Octava rima castellana” y no abandona la ironía: “para solaz de precipitvistás”. Al parecer Aresti muestra que es capaz de escribir en métrica normal, y señalar así que si escribe verso libre es porque es así como quiere comunicarse con sus lectores. Después se sitúan la serie de los sonetos:

- a) Sonetos a la patria oscura. 3 sonetos.
- b) Sonetos de la voz. 6 sonetos modificados.
- c) Sonetos a Nerea ante el futuro. 6 sonetos.
- d) Sonetos rebeldos. 11 sonetos de métrica diferente.

Por un último, un poema escrito en las dos lenguas de fe del final del último euskaldun: “Azken euskaldunaren heriocea/ La muerte del último euskaldún”, curiosamente subtítulo Euzkadi año 2000/Vasconia 2000 urte). Lo que demuestra que está pensando en una ucronía, en una patria que no ama al poeta maldito: y al que solo le ofrece “sufrimiento y muerte”.

La cuarta sección del libro se llama “Euskal Harria”, la sección que daba título al libro. Aresti vuelve a los poemas sueltos, y a brillar en un estilo poético que mezcla experiencia, reflexión, con multilingüismo, con versiones irónicas de frases y poemas anteriores, recreación poética de la realidad que mira hacia el momento y crea una multiplicidad de visiones paradójales. En la conferencia ofrecida a los universitarios de Barcelona, que se tituló “Lengua y Literaturas vascas: breve historia e incierto futuro de su relación” (1986, 10, 70-84) y que pronunció en 1966, Aresti consigna algunos datos que facilitan la lectura de *Euskal Harria*, en concreto se refiere al euskara como una de las prioridades en la identidad vasca, y propone una poesía del momento, en este caso omito las citas de los poemas y recojo la actitud del poeta:

“Un día me sentí patriota y escribí [...] Otro día me sentí sincero y escribí [...] Otro día me sentí hombre y escribí [...] Otro día me sentí cobarde y escribí [...]” (1986, 10, 84).

Lo que pondría en claro una poesía que atiende a las posibilidades sensitivas del poeta, a sus cambios de sentimiento, a su multiplicidad de sentir y de expresar.

Jon Kortazar

Catedrático de Literatura Vasca  
Universidad del País Vasco